ტრადიციული ცხოვრების წესის ეკონომიკური საფუძვლები და თანამედროვეობა საქართველოში

დავით შავიანიძე
ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი

გიორგი ღავთაძე
პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი
სამსჯელოდ გამოგვაქვს საკითხი თემსა და პიროვნებას შორის ეკონომიკური ურთიერთმიმართებისა და შესაბამისი მდგომარეობის (/„მეტ-ნაკლებად მოსრულებული ყოფა“) შესახებ. საკითხს განვიხილავთ სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ადიგენი, ზარზმა, კახარეთი, ლელოვანი, ზანავი, უდე, არალი) მოძიებული ეთნოგრაფიული მასალების ანალიზით, რომელთა მიხედვით, „ეკონომიკური სახსრიანობის“ მომტან, სამეურნეო და სხვა სახის პრაქტიკული საქმიანობის სახელად „ხალხური პოლიტიკა“ დასტურდება. სახელდების, ტერმინის შექმნის ხელოვნება ეთნოსის მკვიდრთა ერთგვარი ბუნებრივი მახასიათებელია. იგი მეტადრე მაშინ მუშაობს, როცა ამის საჭიროებას გკარნახობს შენი ერის თავზე მოწევნილი მდგომარეობა, სამეურნეო-ყოფითი საჭიროებები. დავძენთ, რომ ეკონომიკური შინაარსის ტერმინები იქმნებოდა და ფეხს იკიდებდა მოსახლეობაში, მათი ეთნიკური, რელიგიური კუთვნილებისა, თუ სხვა განსხვავებების მიუხედავად. ასე იყო სამცხე-ჯავახეთშიც, როგორც ამ მხრივ საკმაოდ განსხვავებულ მრავალეროვან თემთა ერთობლიობაში. აღნიშნული დასტურდება ეთნოგრაფიულ-ყოფითი და ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი საშუალება-მიდგომების კვლევით. იგივე ითქმის კონკრეტული ერისა თუ ეთნოსის შიგნით არსებულ მდგომარეობაზეც, რაზეც გავლენას ახდენდა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და ყოფითი პროცესები. სამცხე ჯავახეთშიც, ზემოაღწერილის მსგავსი ვითარება, ფაქტობრივად, განპირობებელი იყო ადგილობრივი თემის მკვიდრ ქართველ კათოლიკეთა, მართლმადიდებელთა და საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულებიდან ჩასახლებულ მუსულმან ქართველთა (კერძოდ კი, აჭარელთა), საერთო თვითშეგნებით, მსოფლმხედველობითა და აღნიშნულიდან მომდინარე რწმენით და ტრადიციული ცოდნით გაჯერებული ცხოვრების წესით (/„ხალხის პოლიტიკა“). წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში მიღებულია კიდევ ერთი დასკვნა - „მარტივად უფრო მეტის მიღების შესაძლებლობის ძიებასთან“ დაკავშირებით, რაც ყველა ერისათვის იყო დამახასიათებელი, ყოველთვის. შესაბამისი ქმედებების ამსახველი მასალების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მომთხრობი ტერმინ-ტოპონიმები („მორიდება“, „დასახლდა“, „ღაზლი“, „მანქანას ავყევი“, „პარტიელები“, „თავკაცს ხარჯი ეკავა ხელში“, „მედიცინური ცოდნა“...) მრავლად იძებნება სამცხე-ჯავახეთში. საინტერესო დასკვნების გაკეთება გახდა შესაძლებელი ერთობლივი ძალისხმევით შექმნილ „საერთო სიკეთეებსა“ და გაზიარებულ პასუხიმგებლობასთან

დაკავშირებით, რომელსაც ქმნიდნენ ეროვნული, მენტალური, სოციალური, თუ ჰუმანური მდგენელების მქონე, მოტივირებული ქმედებები. თემის თითოეულ წევრს გააჩნდა თანაბარი (ან, მის მიერ საერთო საქმისთვის გაღებული კონტრიბუციის პროპორციული) უფლება და წვდომა მსგავს სიკეთეზე, რაც საკმაოდ მძლავრი ეკონომიკური შედეგის მომტანი იყო და, ფაქტობრივად, ლოკალური საზოგადოების წიაღში მიღებულ სინერგიულ ეფექტს ქმნიდა. სინამდვილის ამსახველი სანდო ეთნოგრაფიული მასალები უდიდეს სივრცეს ტოვებს ეკონომიკური კვლევის თვალსაზრისით. ავტორები მომავალშიც აპირებენ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების მოპოვებასა და ანალიზს, რაც მნიშვნელოვან შედეგს მოგვცემს თანამედროვე გლობალურ სამყაროში მიმდინარე პროცესების ეროვნულ-ტრადიციულ ჭრილში გააზრებისა და საქართველოს რეალობაში უმტკვნეულოდ „გადმოთარგმნის“ შესაძლებლობათა გაფართოებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ხალხის პოლიტიკა, ეკონომიკური სახსარი, ეთნო-ეკონომიკა, სოფლის დაცლა, გაზიარებული პასუხისმგებლობა

JEL: N30

DOI: 10.52244/c.2024.11.25

შესავალი

სახელმწიფოებრიობა განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, მისი თითოეული წევრის მზაობაზე, ყოფილიყო „**თანამშრომელი**“, „**თანამებრძოლი**“, „**თანაშემქმნელი**“ და პასუხისმგებლობის გამზიარებელი. ამგვარად ორგანიზებული საზოგადოება ქმნიდა სახელმწიფოს და თემის ეკონომიკური, სამხედრო, სოციალური... ძლიერების საფუძვლებს. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, „**ცხოვრების ტრადიციულწესიანი მომართვის**“ გათვალისწინების და გაცნობიერებული მზაობის შედეგი იყო. არანაკლები მნიშვნელობის მატარებელი იყო საზოგადოების შიგნით, მის თითოეულ წევრს შორის არსებული კავშირები, ვალდებულებები, ურთიერთობათა ფორმები, რომელთაც, გარდა სოციალურისა, ყოველთვის გააჩნდათ ძლიერი ეკონომიკური საფუძველი. აღნიშნულის ერთ-ერთი გამოვლინება გახლავთ ადამიანისთვის უკეთესი ყოფის უზრუნველმყოფი, სხვადასხვა სახის სიკეთის მომტანი, რწმენით მართული რიტუალები.

აღნიშნული და სხვა საკითხები უკვე რამდენჯერმე გახდა ავტორთა კვლევითი ინტერესის ობიექტი და აისახა კიდევაც სამეცნიერო ნაშრომებში. ჩვენი კვლევა ამჟამადაც ეფუძვნება ჩვენეულ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა, ადიგენის ეთნოგრაფიული ექსპედიციის უახლეს მასალებს.

ეთნოგრაფიულმა მასალებმა ეთნოეკონომიკის თვალსაზრისით საინტერესო და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალები თემის, მთლიანად ქვეყნისთვის „**ეკონომიკური სახსრის**“ მომტანი სამეურნეო და სხვა სახის პრაქტიკული საქმიანობის კომპლექსურ-ეთნოეკონომიკური კვლევის ერთ-ერთი პირველწყაროა.

იგივე შეიძლება ითქვას სამცხე-ჯავახეთის მასალებზეც, რომლის კვლევის შედეგებიც გამოგვაქვს განსახილველად.

შედარებითი და კომპლესქური კვლევის მეთოდით საკითხთა გააზრებით ირკვევა რეგიონის, ეთნიკურად მსგავსი და რელიგიური შემადგენლობით განსხვავებულ ქართველთა თემების საერთო თვითშეგნების და მსოფლმხედველობის, ქვეყნის ისტორიაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესებით შექმნილი ყოფითი და ეკონომიკური მდგომარეობის შემქმნელ-უზრუნველმყოფელი საშუალება-მიდგომების შესახებ; რომ დიდი, ან პატარა სოციუმის ეკონომიკური მდგომარეობა, კონკრეტულ ინდივიდთა ქცევით(/„**ხალხის, დროით გამოცდილი პოლიტიკა**“) მოპოვებულია.

აღნიშნულის შესახებ მოგვითხრობენ კულტურულ-ყოფითი, სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა მიმართულების აღმწერი, ცოდნით, სხვა საჭიროების გათვალისწინებით, ბუნებრივი მახასიათებლით შექმნილი ტერმინები, ტოპონიმები.

ეკონომიკური პრინციპების ცოდნა საჭირო იყო ყოველდღიური ცხოვრების შეძლებისთვის. იმისათვის, რომ არ დამდგარიყო სურვილების და მოთხოვნილებების დისბალანსი, გლეხი, თუ გარკვეული ჯგუფი, ვისაც ხელეწიფებოდა, საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას აწყობდა კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე.

ეთნოგრაფიული მასალა:

ღაზლი – წინდა.

„აძლევდნენ მახარობელს სიძის მოსვლისას, ნიშნობაზე. ცხვირსახოცს შეაბამდნენ მკლავზე რომ შეემჩნიათ. ღაზლი კი არ გამდიდრებდა, მაგრამ პატარა საჭიროებას გივსებდა. მახარობელი ღაზლისთვის არ იყავი. შენი კეთიდღეობა შეძლებული და ბუნებითი თან სდევდა ერთმანეთს. ხანაც ბუნება-განწყობის კეთიდღეობა სჯობდა. გუნებიანი შეძლებულსაც შეიქმნიდი“.

მანქანას ავყევი – მანქანამ დამაინტერესა.

„ვფიქრობდი, რომ ჩემი კომფორტი იქნებოდა, თუ მანქანა მექნებოდა. ყველა კაპიკი ამაზე მქონდა გათვლილი და მიდებული, მანქანის ყიდვის საჭიროებაზე“.

პარტიელები – ადგილები სოფლებში, სადაც სკკპ წევრებს ჰქონდათ ნოყიერი, უხვმოსავლიანი მიწები.

კახარეთი - ბეგების სოფელია. ბეგები კარგ სოფელს ირჩევდნენ თავის საცხოვრისად მოსავლიანი მიწებიან სოფელს. კარგად სარფიანად რომ ეცხოვრათ.

რწმენითი (ცნობილია, რომ თეთრი ფერით აღინიშნება სიწმინდე და მარადიულობა - ხაზი ჩვენია) და ქართველთაგან ეკონომიკური რესურსების ეფექტიანად განაწილების თვალსაზრისით საინტერესოობის გარდა, წარმოდგენილი მასალა ადასტურებს „ხალხური პოლიტიკის“ ინტერესის სფეროს, უზრუნველყოფილი ყოფილიყო ინდივიდისა და სოციუმის კეთილდღეობა.

ყოველდღიური ცხოვრების გამაუმჯობესებელი და განმსაზღვრელი ცოდნა, ქართველის ბუნებითი ცოდნა იყო. აღნიშნულ ცოდნათა რიგის იყო ერთგვარი ინვესტიცია - ოჯახის შექმნა; მეუღლესთან ერთად შექმნილ „**მთავარ თავსახლში**“, ქალის მიერ საკუთარი, ტრადიციული როლისა და უფლებების შენარჩუნება.

ეთნოგრაფიული მასალა:

„სამზითო საბანში ერთი ბეწო შავი მატყლი არ უნდა გარეულიყო, მხოლოდ თეთრი. თეთრი საბედნიეროა. სამზითვო ლეიბის მატყლი უნდა ყოფილიყო 10 კილოგრამი. რომ დაჯდებოდა ჩვეულებრივი ზომის უნდა დარჩენილიყო. ყოველ მეორე წელს ამოაფუებდნენ, გაამზევრებდნენ ნამზვითს თვალისთვის, დამხვდურის და მომხვდურისაც. იმის სათქმელად, რომ მზითვის მომტანი ღირსებიანი და შემლებული ოჯახიდანაა“ (მთხრობელი გ. მერებაშვილი. უდე. 2024. ივლისი).

მორიდება - რჩევა.

„ხშირად ქორწინდებოდნენ უფროსების რჩევით. პატრონს უნდოდა ისეთ ოჯახში გაეთხოვებინა შვილი, სადაც არანაირად არ გაუჭირდებოდა. შეიძლება გიჭირდეს სულში და ეკონომიკურში არა, მარა ხელშეწეულობა უფრო ხშირად სხვა ურთიერთობებსაც აფუჭებს. შენ გაუკეთებ მზითვს, მისცემ რასაც შეგიძლია, შვილს მისცემ აბა ვის, მაგრამ არავინ არაფერი არ უნდა დაგაბრალოს, ვერ მოგვკიდაო ქონი, არაფერი ეშველება ისეთიდანააო“ (მიშა გავაშელიშვილი. უდე. 2024).

„**დასახლდა**“ - ადიგენის ჩვენ მიერ მოვლილ სოფლებში ნიშნავს, მამაკაცის დაოჯახებას.

შდრ., სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული მასალები.

„ცოლი მოიყვანე, დასახლკარდი, ფუძიანი გახდი“ (სამეგრელო, ნოღოხაში. ზ, გაბელაია).

„კაცისგან შენი კერას შექმნა, დასახლკარება შენი ძალიანობაა“ (აჭარა, მახალაკიძეები. ი. აბაშიძე).

„დასახლკარებული ხარ, თუ მეუღლედ ჭკვიანი ქალი, დედაკაცი შეგხვდა“ (ქართლი, ვაშლოვანი. ზ. შავიანიძე).

„მეუღლეობა ოჯახშია. ოჯახი კიდევ ღონე და ძალაა. ადრე გაუყოფლად სახლკარობდნენ და პრობლემას ყოფისასაც იოლად აგვარებდნენ“ (სვანეთი, ბეჩო. თ. კვიციანი)

ეთნოეკონომიკის კუთხით კვლევისთვის საინტერესოა დაკრძალვის და ქორწინების საწესო რიტუალთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალა. მნიშვნელოვანია ჭირისუფლის მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების სურვილების სწორად მართვა და წარმართვა. აღნიშნული დამოკიდებული იყო „**თავკაცზე**“. არ უნდა დაზარალებულიყო არც ჭირის და არც ლხინის უფალი.

ეთნოგრაფიული მასალა:

„თავკაცს ხარჯი ეკავა ხელში. ყველაფერს აკეთებდა თავკაცი, ქორწილშიც და გასვენებაშიც, აკონტროლებდა არა მხოლოდ ფულის ხარჯს. ანუ რომ ხარჯავ სუფრა კარგი უნდა გამოგივიდეს, თან არ დააზარალო პატრონი ჭირის და ლხინის“ (ნინო გავაშელი, მურმან ფაილოძე. სოფელი ადიგენი. 2024).

შდრ., „ეკონომიკის გეგმა თავრობისაა, მისი კონტროლის. ხალხური წესიც იგივეა. თავკაცი ადგენდა ხარჯის წარმოებას“ (მთხრობელი ჯ. შავიანიძე. ოკრიბა. ორპირი. 2020).

ეთნოგრაფიული მასალების კვლევით ირკვევა ეკონომიკური მეცნიერების ცნობილი მოცემულობა, რომ ეკონომიკის მიზანია შეუძლებლობის და უმუშევრობის შემცირება,

არსებული შეზღუდული რესურსების ოპტიმალურად, გერგილიანად გამოყენება, ინდივიდუალური თავისუფლების და თანასწორობისაც უზრუნველყოფა.

ეთნოგრაფიული მასალა:

„მესაქონლეობა იყო ჩვენში და „ქელეხზე“ გვქონდა ხორცი, მერე გაჭირვების დროს ყველას არ ქონდა საშუალება და **სოლო** მასწავლებელმა, **ჩილინგარაშვილმა**, „ყველას არ აქვსო საშუალება“ და ახლა სოფელში ხორცი აღარაა დაკრძალვის სუფრაზე. ეკონომიისთვის ხორცი ამოვიღეთ, მაგრამ მესაფლავეს ხორცს ვუდებთ წინ, რადგან ხორცი წამწყებია, პირველი კერძია“ (შ. ტატალაშვილი-ჩილინგარაშვილი. არალი. 2024).

თუმცა, გვხვდება ანგარებაგარეული დამახინჯების შემთხვევებიც.

ეთნოგრაფიული მასალა:

„გასვენებაში დაპატიჟება ნიშნავდა იმას, რომ შენ პატივს მიაგებდი გარდაცვლილს. მერე შეიცვალა, ანგარება გაერია, გახდა ბევრასკაციანი, მისატანის ანგარიში დაიწყო და გაქელეხდა ამფერი დამოკიდებულებით ქორწილის სუფრაც ქელეხია, ქორწილიც უკონტროლოა“ (ნ. გავაშელი. სოფელი ადიგენი. 2024).

აღნიშნულით იმის თქვა გვსურს, რომ გარკვეული პერიოდის (ძირითადად, საბჭოთა კავშირის დროს - ხაზი ჩვენია) განმავლობაში, ჩვენში სარიტუალო ადათ-წესების შინაარსს, ლხინსა თუ ჭირში, განსაზღვრავდა, უფრო მეტად, ფინანსური, თუ ორგანიზაციული საკითხები, ვიდრე მთავარი სუბიექტ(ებ)ის მიმართ პატივგება.

ეპოქის შესაბამისად შეცვლილი მენტალობის შედეგის მსგავსი ვითარება დღესაც არის მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული. თუმცა, მდგომარეობა არსებითად იცვლება, საზოგადოების ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მსოფლმხედველობისაკენ მობრუნების კვალობაზე.

ადიგენის მუნიციპალიტეტეტის სოფლებში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ ადამიანური რესურსის გამოყენების საუკეთესო „ხალხური პოლიტიკის“ ნაწილი იყო ხალხური მედიცინის საშუალებებით ჯანმრთელობის დაცვის მოწესრიგება. აქაური, ქართული, ხალხური მედიცინის სკოლა, მკურნალობდა შელოცვა-გამოლოცვებით, ბალახეული საშუალებებით. „**ეკონომიურმა საშუალებამაც მოიმატა შელოცვის ცოდნით**“, გვეუბნება სოფელ არალის მკვიდრი ლალი ჩიტალაშვილი-ჩილინგარაშვილი.

ადიგენში თუ არა მხოლოდ რძალს, არამედ გასათხოვარ შვილსაც ასწავლიდნენ მედიცინურ ცოდნას, საქართველოს სხვა რეგიონებში, მაგალითად იმერეთში პირიქით იყო.

ეთნოეკონომიკური კვლევის თვალსაზრისით, საინტერესოა ეროვნული, მენტალური, სოციალური, თუ ჰუმანური, ეკონომიკურ მდგენელიანი, მოტივირებული ქმედებები („მადლის კაცთა“ „ცხოვრების სასიკეთოდ გამამრთველი“ საქმიანობა, ანუ საზღაურის გარეშე ბებიაქალობის, სამარის გათხრის, კუბოს გაკეთების წესის შესახებ).

„მადლის კაცთა“ საქმიანობა შინამეურნეობების დონეზე არსებული ურთიერთობის მსგავსია, როცა მეზობლები, ნათესავები ერთმანეთს ეხმარებიან ვის რითი შეუძლია - ფულით, მატერიალური სიკეთით, შრომით, ან ამათი ნებისმიერი კომბინაციით. შედეგად, ვიღებთ, ერთგვარ გაზიარებულ სიკეთეს, რომლითაც სარგებლობს ყველა მონაწილე.

მოსალოდნელი რისკის ნიველირების (განეიტრალების, ზეგავლენის შემცირების) და მნიშვნელოვანი მოვლენის წინაშე (ქორწილი, ქელეხი ...) მდგომი ოჯახებისათვის

ხარჯების დაზოგვის, პრობლემის „განზოგადების“, ჭირის და ლხინის გაზიარების ფორმა უცხო არ იყო დანარჩენი საქართველოსთვისაც.

უცხოელი მოგზაური ოდეტ კენი ქართველებზე აღნიშნავდა, რომ ჩვენში „კლიმატმა და ნიადაგის სასწაულებრივმა ნაყოფიერებამ წარმოშვა დიდი დაუდევრობა, რაც ხშირად იქცევა საშინელ სიზარმაცედ და უტოლდება ყოველგვარი ინიციატივის გაქრობას და, რომ ეს არხეინობა აშთობს კოლექტიურ სულისკვეთებას … ამ ქვეყნის ბუნებრივ რესურსს და სიმდიდრეს ეს ხალხი ვერ იყენებს, ჯერ ძველი რუსული ადმინისტრაციის, შემდეგ კი თავისი უინიციატივობისა და სიზარმაცის გამო. მთავარია არაფერი შექმნან და, რაც უკვე არსებობს, იოლად მოსავლელი და გამძლე იყოს“ (კენი, 2023: 173; 195).

აღნიშნული ეხმიანება დღევანდელ სინამდვილესაც. საზოგადოების წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი, საკუთარი პასუხისმგებლობის ბოლომდე არგააზრებისა და სხვათათვის თავის არშეწუხების, ქვეყნის განვითარებაში მონაწილეობის არმიღების მიუხედავად, თვლის, რომ სახელმწიფო (ყველაზე ფართო გაგებით) ვალდებულია მის წინაშე ყოველმხრივ და ითხოვს შექმნილი „სიკეთის“ მასზე განაწილებას, ყოველგვარი დამსახურების გარეშე.

ეთნოგრაფიული მასალები:

„მთავრობამ გააზარმაცა ხალხი. მეუღლე მსახურობდა და მიცეს ნორმა. მერე იყო და ბოსტანს ნუ დათესავ და დახმარებას მოგცემო. თუ სამსახურს დაიწყებ დახმარება მოგეხსნებაო... კომუნისტების დროს მისაკუთრების შესაძლებლობამ დააზარმაცა ხალხი. ლექსიც იყო: „იყო გრამი, გახდა ტონა, ჩვენი ბიჭი გრამიტონა“ (მთხრობელი მ. გავაშელიშვილი. უდე. 2024).

ვერ გავექცევით სინამდვილეს. თუმცა დავსძენთ, რომ ეკონომიკა არაა მხოლოდ ფულთან დაკავშირებული. იგი ეხება ყველა იმ სფეროს, რომელიც შეზღუდულია (დრო, ნედლეული, მიწა...) და რომელიც შეიძლება რაღაც მიზანთან (ტრადიციული მეურნეობის მოშლა; საკუთარის გაზარმაცებით პროდუქციის ადგილზე ვერწარმოება და იაფი პროდუქციის მოზიდვა; „საშოვარის“ ძიების მიზნით ქვეყნის დაცლა ... - ხაზი ჩვენია) იყოს დაკავშირებული და შეგიზღუდონ (მაგალითად შრომითი უნარები) მიზანმიმართულად.

ვფიქრობთ, რომ ეკონომიკურთან ერთად, აღნიშნულ მენტალურ დამოკიდებულებას („**მარტივად უფრო მეტის მიღების შესაძლებლობის ძიების სურვილი**“), მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური საფუძვლები გააჩნია. გახარჯული რესურსებიდან შედეგის სწრაფად მიღების შესაძლებლბების სიმწირემ, ადამიანთა ქმედებები სხვა მიმართულებით გააქტიურა.

ეთნოლოგიურ მეცნიერებაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის არდაცლა ჩვენი გადარჩენის ერთ-ერთი საფუძველი იყო; აღნიშნულია, რომ დროებითი, შიდა მიგრაციის დროს მოსახლეობა დროებით მთაში, საკუთარი ქვეყნის უსაფრთხო სხვა რეგიონში გადასახლდებოდა (რ. თოფჩიშვილი, 2006: 65-67; 2010:76-83). დღეს, კულტურულ-ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში არსებული სინამდვილე შეიცვალა. საზოგადოების სპეციფიკური მახასიათებელი გახდა სოფლის და ქვეყნის დატოვება; საზოგადოებრივი წარმოების ფონზე წინ წამოვიდა მხოლოდ მოხმარების სურვილი.

ეთნოგრაფიული მასალები:

„სოფლის დაცლის მიზეზი პირადულ ეკონომიკური მდგომარეობის გაკეთილშობილებაა. იმაზე არფიქრია, სოფლის დაცლის მერე რა მოუვა ქვეყანას. „იოლად გავალ“ ქალაქში, სხვა

ქვეყანაში, ეს ფიქრიცაა მიზეზი. დღეს აღარ მუშაობს ფიქრი: „ჩემი ქვეყნის რესურსს სხვა ხომ არ გამოიყენებს?“ (მთხრობელი: თ. ტატალაშვილი-ჩილინგარაშვილი. არალი. 2024)

„სოფელში ადგილს ჰქვია „**ჰარალე**“. „ჰარალე“ ნაყოფიერების ღმერთია. იმდენი რწმენა იყო, რომ ზეციერის გულის მოსაგებად ნაყოფიერ მიწებს დავარქვით მისი სახელი. დღეს რწმენაც გავაქრეთ, აღარც მიწაზე მუშაობა გვინდა, თავს აღარვინ იწუხებს ხვნა-თესვით. არაარ. სხვა „**ნიჭი**“ გამოვიძებნეთ, სხვა მარტივი თავის გართმევა (მთხრობელი ივ. ბათმანაშვილი. არალი. 2024).

„დღეს ფულია მთავარი ზნეობა. ქალაქში მიდის „ჩაიზე ვიქნები და ძროხის კუდს არ ჩამოვეკიდები. ჩემთვის, მე ვიქნები კარგად და ესაა ჩემი რწმენაც“. დაუდევრობა და უფიქრალობა, მარტო მეზე ფიქრი გვჭირს“ (მთხრობელი მ. გავაშელიშვილი. უდე. 2024).

„მომხეჭველობა და სიხარბე მოვირიეთ. ფიქრით, რომ „არ გვაქვს ცხოვრების საშუალება, ვატოვებთ სოფელს და ქვეყანას. „საჭიროება გახდა“ უფრო მეტი, „დრომ მოიტანა, სხვა ცხოვრება მოვიდა, რა დროს რწმენა და სალოცავია, ძველი როგორ ართმევდა თავს არ მაინტერესებს“, გვაქვს მომარჯვებული. ისიც ვქენით, რომ ტრადიციული პოლიტიკის მიზანს, მეურნეობის მოშლას და ქვეყნის დაცლას ნებითაც ვასრულებთ“ (მთხრობელი ვ. გიქოშვილი. ზანავი. 2024).

შდრ., გორშეღმის ხეობის „მარტო კაცი“ სოფელს ვერ ატოვებდა ხატის მსახურებისთვის: „გაზაფხულზე ამოდიან, ამაღლალვენ ცხვარსა, საქონსა, შაიყრების ხალხი. მერე სთველთ (შემოდგომაზე) იქავ გაიკრიფებიან, გაღრეკვენ საქონს იქავ და წავლენ საზამთროდ. ეშმათ მეტ აღარა რჩების აქ. აი, რო გავხენებ წინხადუს, გინდა ჭალას, კაციშვილის ჭაჭანება აღარ ას. ხალხ რო გაიკრიფებ, ეშმან ეპატრონებიან აქაობას. ჯვარის, ხატის გნივ (ანუ, გამო) ვერ მივდიორ მე აქით, თორე აქ მარტო კაცის ცხოვრება არ შაიძლების“.

ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის შედეგად, შეიძლება შემდეგი სახის მსჯელობა განვავითაროთ:

პიროვნებას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ორგანიზდებოდა და ვითარდებოდა, ყოველთვის იყო კვლევის საინტერესო თემა და ობიექტი. აღნიშნული ურთიერთობების ფორმა, არსი და პრინციპები მნიშვნელოვნად არის და ყოველთვის იყო დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, მიმდინარე პროცესებზე, გარემო პირობებზე და ა.შ., და იცვლებოდა მათი ტრანსფორმაციის შესაბამისად. აქვე დავსძენთ, რომ აღნიშნული ურთიერთმიმართების ხასიათი განაპირობებს შესაბამისი სოციალური კაპიტალის შინაარსს და პოტენციალს. ასე მაგალითად, ნახსენები ურთიერთდამოკიდებულების ისტორიულ-რეტროსპექტიული მიმოხილვის საფუძველზე, საქართველოს რეალობასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოიყოს სოციალური კაპიტალის რამდენიმე ფორმა (იხ. ცხრილი)

იმისათვის, რომ „გადარჩნაზე ორიენტირებული“ და „ადაპტირებული“ სოციალური კაპიტალი გარდაიქმნას „განვითარების“ სოციალურ კაპიტალად, აუცილებელია ახალი ერთობლივი პასუხისმგებლობის მიღწევა, რომელიც მომავალში დაეფუძნება მამოტივირებელი სახელმწიფოს იდეას, რომელიც აგებულია მთლიანად საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის თანაბარ, თანხვედრილ ნებელობა/ჩართულობაზე. აღიშნული შესაძლებელია მიღწეულ იქნას თანამონაწილეობითი სისტემის პირობებში, რომელშიც ყველა სუბიექტისათვის შექმნილია თანაბარი პირობები, თითოეულზე განაწილებული იქნება ფუნქციები და პასუხისმგებლობები (ღავთაძე, 2015: 225).

ცხრილი

სოციალური კაპიტალის რიგი ფორმები

სოციალური კაპიტალის ხასიათი	**მოკლე აღწერა**
გადარჩენაზე ორიენტირებული სოციალური კაპიტალი	გარშემო მყოფებთან შეზღუდული ურთიერთობები; ღიაობისა და თანამშრომლობის დაბალი ხარისხი; პიროვნებას, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის კონფრონტაცია. ამას იწვევდა სახელმწიფოებრიობის შეზღუდულობა, დამპყრობელის მიმართ დაქვემდებარებულობა.
ადაპტირებული სოციალური კაპიტალი	ინდივიდუალიზირებული, მატერიალისტი, მწირი სოციალური ნდობის მქონე საზოგადოება, რომელიც ვერ შენარჩუნდა, როგორც „ერი“ და მოახერხა მხოლოდ „ხალხის“ ფორმირება.
განვითარების სოციალური კაპიტალი	საზოგადოების წევრთა გაცნობიერებული გაერთიანება, რომელიც დაეფუძნება სურვილსა და მზადყოფნას, თანასწორი ჩართულობით მართონ პროცესები და გაინაწილონ პასუხისმგებლობები მათი კომპეტენციიდან გამომდინარე.

როგორც პიროვნული, ისე თანამემაულეთა, საკუთარი ქვეყნის წარმატებაზე მზრუნველი მოქალაქეების აღზრდაზე, აღწერილი მოდელის განვითარებაზე დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საზოგადოების წევრის „**ქმედების აზრს**“, ზნეობას, ტრადიციული ცხოვრების წესითაც მართულ მიზნებსა და მოტივაციებს, თვითშეგნებას, სახელმწიფოებრივ აზროვნებას, განათლებას, უნარებს, მართებულ პოლიტიკას, ეკონომიკურ პოლიტიკას და ა.შ., რაც გულისხმობს ისეთი მოქალაქეების აღზრდას, რომელიც მზად იქნება იზრუნოს როგორც საკუთარ, ისე სხვის და საკუთარი ქვეყნის წარმატებაზე და, რაც მთავარია, სხვებთნ ერთად. სწორედ ასეთი პიროვნებები შექმნიან კეთილდღეობაზე მისწრაფებულ, მომავალზე ორიენტირებულ საზოგადოებას, რა შემთხვევაშიც, განვითარების საფუძველი იქნება სახელმწიფოებრივ აღმშენებლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითოეული მოქალაქის ჩართულობისათვის სათანადო პირობების შექმნა და თაობათა სოლიდარობის უზრუნველყოფა.

სხვადასხვა ეთნოლოგიური კვლევებითაც დასტურდება, რომ ზემოთ განვითარებული მსჯელობა არახალია და მსგავსი მიდგომები დამახასიათებელი იყო ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. თუ აღნიშნულის მიღწევა ვერ ხერხდებოდა სახელმწიფოს დონეზე, მისი შენარჩუნების გარანტად გვევლინებოდნენ ცალკეული კუთხეები, თუ ლოკალური საზოგადოებების ცხოვრების წესი, ე.წ. „ხალხის პოლიტიკა“.

სამცხე-ჯავახეთის და საქართველოს სხვადასხვა მხარეების შესწავლის შედეგად ვლინდება მნიშვნელოვანი მსგავსება საკითხებისადმი დამოკიდებულების ნაწილში. აღნიშნული, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დღეს, ძირითადად, ისევ სახეზეა პიროვნების

ცნობიერებაში საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების პრევალირება, მიუხედავად მისი სარწმუნოებრივი კუთვნილებისა, თუ სოციალური სტატუსისა.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ თანამედროვე მსოფლიოში, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი ქვაკუთხედია მმართველობითი აქცენტების გადატანა ლოკალურ დონეებზე და შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების გაძლიერება. ეკონომიკურ განვითარებაში დინამიზმისა და თანმიმდევრულობის მისაღწევად, სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა განვითარების ინკლუზიურობასა და ინტეგრირებულობას.

მსგავსი მიდგომები ისტორიულად დამახასიათებელი იყო ჩვენი რეალობისათვის და მათი გაფერმკრთალება არაერთმა უარყოფითმა მოვლენამ განაპირობა, რომელთაც მრავლად ჰქონდა ადგილი საქართველოში, განსაკუთრებით უკანასკნელი ასწლეულის განმავლობაში.

სტატიაში განხილული მაგალითებიც საქართველოსთვის დამახასიათებელი „**საერთო სიკეთეები**“ - ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებითობაცაა და შექმნილიც. აღნიშნული, ყოველდღიური ყოფის სხვადასხვა ასპექტებს მოიცავდა და მასში ინტეგრირებული იყო სოციალური, ინფრასტრუქტურული, ფინანსური, სამართლებრივი საკითხები. ამ ისტორიული გამოცდილების შედარებისას თანამედროვე პირობებთან, ბუნებრივად გვახსენდება ინკლუზიური ეკონომიკისა და მდგრადი ინტეგრირებული განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელიც მიმდინარე ეტაპზე, სახელმწიფოებრიობის გაძლიერების ერთ-ერთ ძირითად საყრდენად გვევლინება.

ყოველივე ზემოთქმულიდან, გამოიკვეთა რამდენიმე ყურადღება მისაქცევი და გამოსასწორებელი მახასიათებელი:

1. ქვეყანა სუსტდება როგორც ტრადიციული მეურნეობის ჩამოშლით, ისე სოფლის დაცლით. დაცლილ სოფელში და ქვეყანაში, შენ საწარმოო „ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსებს“ ეპატრონება სხვა.

მაგალითისთვის, ბოლნისის და მარნეულის რეგიონებში, ჩვენი მიწიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ცხოვრების საშუალებაა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის, ჩვენთვის კი „უშრომელობას მიჩვეულებისთვის“ მიწიდან მიღებული შემოსავალი არასაკმარისია.

2. სოფლის მეურნეობის წარმოებულ პროდუქციაზე დამყარებული წარმოების ჩამოშლა ვერ გვაძლევს სტაბილური ეკონომიკური განვითარების საშუალებას, რადგან იგი აღარაა გამყარებული მაღალი სახმარი ღირებულებით.

3. ქართველურ თემთა ეკონომიკური კუთხით კვლევის შედეგები მსგავსია.

4. ძველი ტრადიციებისა და ცოდნის თანამედროვეობაში ხელახლა დამკვიდრების მცდელობა არ იქნება ლოგიკას მოკლებული და შესაძლებლობას მოგვცემს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის ზრუნვას ჩვენთვის ბუნებრივი, იმანენტურად დამახასიათებელი საფუძველი შევუქმნათ.

გამოყენებული ლიტერატურა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოგრაფიული ექსპედიციების მასალები

თოფჩიშვილი რ. (2006). საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, თბილისი, გვ.65-67

თოფჩიშვილი რ. (2010). საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია საერთო რედაქციით. თბილისი, გვ. 76-83

კენი ო. (2023) ოქროს საწმისის ქვეყანაში, დამოუკიდებელ, მენშევიკურ საქართველოში. თბილისი;

ღავთაძე გ. (2015). სახელმწიფო მმართველობის სრულყოფისა და სამოქალაქო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები საქართველოში, ჟ. უნივერსიტეტის მოამბე აწსუ ხელმისაწვდომია: https://moambe.atsu.edu.ge/ge/article/156 [უკანასკნელად გადამოწმდა 14.07.2024]

შავიანიძე დ., კაშია რ., ხაჭაპურიძე რ (2009). ეთნოისტორიული კვლევები. ქუთაისი 2009

შავიანიძე დ. ქართველურ და თურქულ ეთნოკულტურათა შერევისათვის (მესხეთიდან დეპორტირებულთა გვარსახელების ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით).

ჰარალე იბერიის სამეფოს მთავარ ღმერთთა პანთეონის გამორჩეული წევრია (https://intermedia.ge/სტატია/111191-ქართული-მითოლოგია-ჰარალე/89/)

Economic Foundations of Traditional Lifestyle and Modernity in Georgia

David Shavianidze
Associate Professor
Akaki Tsereteli State University, Kutaisi University

Giorgi Ghavtadze
Professor, Akaki Tsereteli State University

Abstract

We present for discussion the issue of economic relations between community and the individual and the corresponding position (“more or less well being”). This time, we will discuss the issue of the economic relationship between the community and the individual and the corresponding state ("more or less fulfilled existence") by analyzing the ethnographic materials found in Samtskhe-Javakheti, in particular, in the villages of Adigeni municipality (Adigeni, Zarzma, Kakhareti, Lelovani, Zanavi, Ude, Aral). , according to which, "people's politics" is confirmed as the name of economic and other practical activities that bring "economic wealth". The art of creating names and terms is a kind of natural characteristic of the inhabitants of the ethnos. It works especially when the need for it is dictated by the prevailing situation of the nation, economic and living needs. Here we will find that terms of economic content were created and gained a foothold among the population, regardless of their ethnic, religious affiliation, or other differences. This was the case in Samtskhe-Javakheti as well, as in a group of multi-ethnic communities quite different in this regard. This is confirmed by the research of ethnographic-existing and economic condition-determining means-approaches. The same can be said about the situation within a specific nation or ethnic group, which was influenced by the economic and social processes taking place in the country. In Samtskhe Javakheti as well, the situation similar to the one described above was, in fact, determined by the way of life of the Catholics, Orthodox and Muslim (in particular - Adjarian) Georgians, members of the local community, saturated with common self-awareness, worldview and the resulting beliefs and traditional knowledge. Within the framework of the presented work, another conclusion was made - regarding "the search for the possibility of getting more easily", which was characteristic of all nations, always. materials describing the relevant actions, terms-toponyms telling about the socio-economic situation ("avoidance", "settled", "ghazal", "I took the car", "party members", "the leader had the money in his hand", "medical knowledge"...) It is widely sought in Samtskhe-Javakheti. It became possible to make interesting conclusions regarding common "goods" created by joint efforts and shared responsibility, which were created by motivated actions with national, mental, social, or humanitarian components. Each member of the community had an equal (or, proportional to his contribution to the common cause) right and access to similar goods, which produced quite powerful economic results and, in fact, created a synergistic effect within the local community. Reliable ethnographic materials reflecting the reality leave a huge space in terms of economic research. In the future, the authors intend to collect and analyze historical-ethnographic materials, which will give us significant results for the expansion of the possibilities

of understanding the processes taking place in the modern global world from a national-traditional point of view and "translating" them into the reality of Georgia.

Keywords: people's politics, economic fund, ethno-economy, emptying the village, shared responsibility
JEL: N30
DOI: 10.52244/c.2024.11.25

References

Materials of the Ethnographic Expeditions of the Faculty of Humanities of Akaki Tsereteli State University (in Georgian)

Topchishvili, R. (2006). Ethnography/Ethnology of Georgia, Tbilisi, pp. 65-67 (in Georgian)

Topchishvili, R. (2010). Ethnography/Ethnology of Georgia with common editorship. Tbilisi, p. 76-83 (in Georgian)

Kenny O. (2023) In the Land of the Golden Fleece in Independent, Menshevik Georgia. Tbilisi; (in Georgian)

Ghavtadze, G. (2015). Prospects of Improving State Governance and Deepening Civil Cooperation in Georgia, Zh. The University Press, TSU, is available at: https://moambe.atsu.edu.ge/ge/article/156 [retreived 14.07.2024] (in Georgian)

Shavianidze D. Kashia R. Khachapuridze R (2009). Ethnohistorical studies. Kutaisi 2009 (in Georgian)

Shavianidze, D. For the Mixing of Georgian and Turkish Ethnocultures (according to the ethnographic materials of the surnames of those deported from Meskheti). (in Georgian)

Harale is a distinguished member of the pantheon of the main gods of the Kingdom of Iberia (https://intermedia.ge/სტატია/111191-ქართული-მითოლოგია-ჰარალე/89/) (in Georgian)